ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 88

4 მაისი
"---" -------- 2018 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის" ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.156) არსებული 125300 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული სავაჭრო ობიექტის - ჯიხურის პირდაპირი განკარგვის წესით გიგი ანთაძისთვის (პ/ნ: 01017042136) სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის და მე-8 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1.მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ.თბილისში, „პარკი მზიურის" ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.156) არსებული 125300 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული სავაჭრო ობიექტის - ჯიხურის პირდაპირი განკარგვის წესით გიგი ანთაძისთვის (პ/ნ:01017042136) თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიოციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 25 აპრილის №18.273.481 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის" ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.156) არსებული 125300 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განსათავსებელი სავაჭრო ობიექტის - ჯიხურის გიგი ანთაძისთვის (პ/ნ: 01017042136) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემაზე.

2.თხოვების ფორმით სარგებლობაში გადაცემის ვადა განსაზღვრულია 2 (ორი) წლით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე